

იოსებ სიბოშვილი

მისი უდიდეთულესობა
ქართული ლვილი
(მოთხრობები)

თბილისი
2009 წელი

ქართველი კაცი ღვინის გარეშე წარმოუდგენელია, ისე როგორც ღვინო - ქართველი კაცის გარეშე. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველმა 500-ზე მეტი ვაზის ჯიში გამოიყვანა.

იოსებ სიბოშვილის მოთხრობებში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ შეგვასენებს, რომ ღვინო ჭირშიც და ლხინშიც “ახარებს გულსა კაცისასა”.

ISBN 978-9941-0-1887-9

© იოსებ სიბოშვილი 2009

მისი უდიდებულესობა ქართული ლიტერატური

საქართველოში უკანასკნელ საუკუნეთა მიჯნაზე განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი რამ შეცვალა საზოგადოებრივ უთროიერთობებში. ერთ დროს ჩაქტილი ქვეყნა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებისათვის, საქმიანი მოღვაწეობის ასპარეზად გადაიქცა. უცხოეთის უამრავმა ფირმამ თუ კაგშირმა გახსნა ოფისები (ერთ დროს კანტორას რომ ეძახდნენ) თბილისსა და რეგიონებში. ასე რომ უკელა ფუსტუსებდა, ხელს აფათურებდა, ქვეყნა კი თავის განვითარებით ვერ დაიკვეხნიდა. რას იზამ, როგორც იტყვიან უკელაფერს დრო სჭირდებაო. ადამიანები კი, ამაოების ბადეში გახლართულები, დროის აჩქარებულ სუნთქვას ვერ ვვრძნობთ და როდესაც მას ჩავჭკვირდებით, მაშინდა ვხვდებით თუ რა ფუტად გაგვივლია, ისედაც მოკლე, წუთისოფლის გზა. თუმცა მოსაგონარი კი ბევრი გვრჩება. ამაოებისკენ სწრაფვამ დააკავშირა ერთმანეთს საქართველოს და საფრანგეთის ორი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაც უნდა შეესწავლათ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები, მათი წარმომავლობა და რაც მთავარია ის, თუ ქართველები რამდენად სწრაფად და მსოფლიოში აპრობირებული წესების შესაბამისად აკენებდნენ დგინოს.

სასაცილოა არა? სიდრის სმით კუჭდათხელებულებმა და უმზეობით ჭორფლგადაპენტილმა ფრანგებმა ჩვენ, დვინის გამომგონებლებს, უნდა შეგვიმოწმონ რამდენად სწორედ ვაკენებთ ამ, უფლისაგან ბოძებულ სითხეს. მაგრამ რას იზამ ისტორია და ტრადიციები სხვა არის, ხოლო საქმე სხვა. ქართველებმაც არ დააყინეს და თავისი ფრანგი პარტნიორები ჩამოსვლისთანავე ეროვნულ მუზეუმში “გააქანეს” და მელაანში აღმოჩენილი ათასწლეულების წინ ჩამოსმული დვინის დმერთის ქანდაკება აჩვენეს. ფრანგებმა დვინის დმერთის გაშლილი ხელები და სასმისი რომ დაინახეს, აღფრთოვანებულებს აღმოხდათ “აუფფ...”, ხოლო წელს ქვევით რომ დახვდეს ქანდაკებას, მცირე პაუზის შემდეგ ამოიგმინეს – “ეუფფ...” მაგრამ მაშინვე დაწყნარდნენ, რადგან ქართველი პარტნიორებისათვის გადმორიცხული გრანტები გაახსენდათ და თავის თავს შთაგონეს უფრო სერიოზულები ყოფილიყვნენ.

ერთობლივი საქმიანობის ორი კვირის თავზე, გადაწყდა, რომ დაეთვალიერებინათ მედვინების ძირითადი რეგიონი – კახეთი.

ნოდარ ბაწელაშვილი რომელიც ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამშრომელი გახლდათ, წარმოშობით კახელი იყო და დღესაც შენარჩუნებული პქონდა მამა—პაპის ადგილ—მამული სოფ. იდბლიანში, რომელიც კავკასიონის ფერდობის ძირში იყო გაშლილი. სოფელი თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლიდა. იდბლიანელების დამარცხებას მტერი ვერ ახერხებდა, რადგან სოფლელებს კავკასიონის ქედში გამოთხრილი პქონდათ გვირაბები. გაუვალ ტყეებში შენიდბულ სამალავების აღმოჩენა ერთობ რთული საქმე იყო და ამიტომ მომხვდური, მხოლოდ სოფელში დარჩენილ ქონებას თუ მოიალაფებდა და უკან ბრუნდებოდა. ხოლო იდბლიანელებს გვირაბებში პყავდაც ხალხიც და ფრინველ—საქონელიც. ქვევრებით საგვე იყო იქაურობა. ღვინო და წყალი არ აკლდათ და შეეძლოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილიყვნებ სამალავში. ერთი ეგ არის, რომ მზის სინათლე ენატრებოდათ. დღეს კი ამ გვირაბების ფუნქცია ღვინის შენახვა იყო. შიგნით მოწყობილი მარნების ხილვას არაფერი სჯობდა. ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულ ქვევრებსა და კასრებში მრავალწლიანი უნიკალური ქართული ღვინოები ინახებოდა. გვირაბების შესასვლელში დია ცის ქვეშ, უღრან ტყეში, წყაროების გარემოცვაში ჩადგმულ სახელდახელო ქოხებში დავანებულ სიმყუდროვეს საუკუნეების ხილვაში გადაჰყავდა ადამიანი, ავიწყებდა მსოფლიო ცივილიზაციის ხმაურიან ატმოსფეროს და თითქოს დრო ჩერდებოდა, რომელიც არც წარსულს და არც აწმეოს არ ემორჩილებოდა. ის, იმქვეუნიური იდილიის მსგავსი რამ გახლდათ, რაც მარადისობის შეგრძენებას აღვივებდა დმერთის მიერ ნაბოძებ სულში. თვალს მოავლებდი ქოხებში კედლის განაპირას მდგომ დიდ ტახტს, მის გვერდზე მიდგმულ აკვებს, შუა ცეცხლს, ათასნაირ საოჯახო ნივთს და მიხვდებოდი, რომ ქართველი ჭეშმარითად დმერთის მიერ შექმნილი მხენვებ—მთესველი იყო, რომელსაც უფალმა თავისი საქმის განსახორციელებლად ეს სამოთხე უბოძა.

ფრანგები მათ წინ გადაშლილ საოცრებას გაფართოებული თვალებით შესცექროდნენ და მხოლოდ ფოტოაპარატების წამიერი ნათება თუ არღვევდა ირგვლივ დავანებულ მყუდროებას.

საოცრებათა სამყაროში ჩამოწოლილი სიწყნარე და ძველ საქართველოში “მოგზაურობა” კარის ჭრიალმა დაარღვია. ქოხში ლოფებულავდა, ულვაშებჩამოშვებული და გვერდზე ქუდდახურული გაღიმებული ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, პირდაპირ ნოდარ ბაწელაშვილისკენ გასწია და თან ხმამაღლა დაიწყო საუბარი:

– ნოდაარ! კაცო კარდონია თუ პარდონია, ამათა ჩემგანა გადაეცი, არ მოგშივდაათ? ეგე, ის თამადაც მოგიყვანე გაღმა უბნიდანა შე რო მითხარი. არ დავსხდეულო?

– პო, პო ზაქრო, ეხლავე მოვალო ძმაო.

ზაქრომ სტუმრებისკენ გაიხედა, ქუდი მოიხადა და დაგვიანებული ბოდიში რომ მოეხადა, პირი ბოლომდე გააღო, თვალები გადმოკარკლა, ისედაც დაუდაქა სახე უფრო გაუწიოთლდა, თავი დაიქნია და კარებში გაუწინარდა.

ნოდარი სტუმრებს მიუახლოვდა და აცნობა, რომ მასპინძლები მათ სადილზე ეპატიუებოდნენ. მუცელდმერთა ფრანგებში ამ ცნობამ დიდი გამოყხიზლება და ქრიამული გამოიწვია და ყველანი გაიკრიბნენ ქოხიდან.

ქართული სუფრა იქვე გვირაბის ახლოს მდებარე ძველ მარანში იყო გაშლილი. ტყეში გვიანი გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა. მარანთან მოჩუქებული წყარო მასთან მისულ ადამიანს თითქოს ესაუბრებოდა და მის მობრძანებას ლოცავდა. ერთ-ერთი ფრანგს გაოცებისაგან წამოსცდა:

– აქ ყველაფერი გელაპარაკება სულიერი თუ უსულო, თან ისეთ ენაზე, რომ ის ყველა ადამიანისთვის გასაგებია.

ნოდარმა მყისვე გადაუთარგმნა მასპინძლებს ფრანგის ნათქვამი.

– მაგაი უთხარი, რქაწითელ დაელაპარაკოი და მერე იქნება მოვარეზე მოუწნდეთ...

– გაჩუმდი! – ადარ დაამთავრებინა ზაქროს ვანომ, – იქნება იცის ქართული და სირცხვილი უნდა ვჭამოოთ?

ამ დროს ნოდარს ფრანგების არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჟაკ მატიე მიუახლოვდა, ხელი მოკიდა და განმარტოვდნენ.

– მისიე ნოდარ, თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩვენი საქართველოში ჩამოსვლის მიზანი, რაზეც უკვე ერთობლივად ვმუშაობთ კიდევ.

– მე მგონი პრობლემები არ გვაქვს ბატონო ჟაკ, – გაკვირვებულმა შეაგება სიტყვა ნოდარმა.

– არა, არავითარი, – გაედიმა ფრანგს, – მე, უბრალოდ თქვენ დაგიმალეთ ჩვენი პროექტის ერთი მუხლი, რაზეც პირველ რიგში ბოდიშს გიხდით, თუმცა ეს საერთო საქმეზე ზეგავლენას არ ახდენს, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ.

– გისმენთ. – მოიკრიბა ყურადღება ნოდარმა.

– როდესაც ჩვენ ქართველებთან თანამშრომლობა გადავწყვიტეთ... – მცირე ხნით შეწყვიტა საუბარი ჟაკმა და გაიღიმა,

– არც ვიცი დამიჯერებთ თუ არა...

- განაგრძეთ მისიე, - შეაშეველა სიტყვა ნოდარმა.
- ერთი სიტყვით, - ემოციურ ფონზე გააგრძელა საუბარი ფრანგმა, - მე აქ წამოსვლამდე სიზმარი ვნახე. გამომეცხადა შავ ანაფორაში ჩაცმული კაცი, აი თქვენი სასულიერო პირის მსგავსი და მითხრა, რომ მე ჩემს სამშობლოში მოვდიოდი, რომ ჩემი წინაპრები, ქრისტემდე მეექვსე საუკუნეში აყრილან კავკასიიდან, კერძოდ იბერიიდან და დასახლებულან ჯერ კიდევ ადამიანის მიერ აუთვისებელ ევროპაში, კერძოდ ახლანდელი გერმანიის შვაბიის მხარეში, სადაც მაღალ დონეზე განუვითარებიათ მევენახეობა. ხოლო ჩემი წინაპარი შეა საუკუნეებში გადასახლებულა საფრანგეთში და იქ გაუშენებია ვენახი.
- საინტერესოა, - გაედიმა ნოდარს, - ესე იგი თქვენ ქართველი ხართ?
- დიახ, ასეა, - დაბნეული საუბრობდა მატიქ, - მაგრამ საინტერესო რა არის იცით, ჩემი პაპა მიყვებოდა, რომ მასთან მეცხრამეტე საუკუნის, თუ არ ვცდები 90-იან წლებში, საქართველოდან ჩასულან შვაბები და თავიანთი თავადისთვის წაუდიათ წითელი ფურძნის ნერგებიეს საუკვოესო ჯიშის ფურძნია და მისგან საქართველოში მიუდიათ შესანიშნავი წითელი ღვინო. ასე რომ ჩემს გვარს დღეს უკვე საკუთარ თანამემამულებთან მეორე შეხვედრა აქვს. მაგრამ მარტო ამაში არ არის საქმე, - განაგრძო უაკმა, - მე ისევ მინდა სიზმარს დავუბრუნდე. იმ ბერმა მთავარი რაც მითხრა, ის არ მითქვამს. როდესაც ჩახვალ საქართველოში და მიგიწვევენ სუფრასთან, აუცილებლად ჩაიწერე თამადის სადღეგრძელოები და შემდეგ გადაათარგმნინეო.
- არ არის პრობლემა, - აფორიაქდა მასპინძელი, - ახლავე მოვატანინებ ჩამწერს...
- არა, არა, დაწყნარდი მისიე. - გააჩერა უაკმა ნოდარი, - მომისმინე, დავამთავრებ საუბარს. რაც შეეხბა ტექნიკურ მხარეს, ის უკვე მომზადებული მაქვს და მინდა მხოლოდ თქვენ იცოდეთ, კონსპირაციულად ვაპირებ ჩაწერას, რომ ზედმეტი დისკომფორტი თავიდან ავაცილო ყველას. თან მინდა რომ ხელოვნური არ გამოვიდეს და რეალობასთან ახლოს იყოს. მთავარი მათქმევინე კავკასიელო, - გაცხარდა გენიო კიდევ ერთი ქართველი, - ნუ ჩქარობ. ერთმა მითხრა, რომ, ღმერთმა ქართველ კაცს ორი რამის წარმოების უფლება მისცა. ეს არის რკინა და ღვინო. რკინასავით მედგარი რომ არის ქართველი იმიტომ გაუძლო ისტორიის ქარტებილსო, ხოლო ღვინო კი უფლის სისხლია, რომლითაც ძლიერდება ღვთის რჩეული ადამიანი და მუდამ ადიდებს ღმერთსო.

ქართული სუფრა წმიდა წირვის გაგრძელებააო, დაუგდე თამადის სიტყვებს ყური და მიხვდები, რომ იგი ღმერთს ესაუბრება. თამადა აუცილებლად ნაზიარები უნდა იყოს ქრისტეს სისხლსა და ხორცობა, სხვანაირად ის ვერ გადმოსცემს იმას, რასაც უფალი ეუბნება მასო.

— ეს ნამდვილად ვიცი, რომ ჩვენი თამადა უფლის სისხლსა და ხორცს უკვე რამდენიმე წელია რაც სისტემატურად ეზიარება და სადღეგრძელოებიც კარგი გამოსდის, — ამაყად თქვა ნოდარმა,

— თუმცა როგორც ჩვენთან იტყვიან “გაგონილს ნანახი სჯობიაო”.

შემდეგ ჟაკი დანარჩენ სტუმრებთან ერთად მიიპატიუა ქართულ სუფრასთან. ფრანგმა კიდევ ერთხელ გააჩერა ნოდარი და სოხოვა:

— ჩაწერაზე არავისთან... ძალიან გთხოვ.

ნოდარმა თანხმობის ნიშნად ხელი ჩამოართვა და ყველას, სტუმრ-მასპინძელს სოხოვა მაგიდას შემოსხდომოდნენ.

სუფრა სანაქებო იყო. ქართულთან ერთად, ცოტა ევროპულიც. შეიძლება ითქვას მასპინძლებს გადაუჭარბებიათ კიდეც და ქართულ სასმელებთან ერთად ფრანგული, ესპანური და გერმანული დვინობებიც იდგა სუფრაზე, შოტლანდიური ვისკიც. ერთი სიტყვით სხვადასხვა ზომის ბოთლებით და სართულებად დალაგებული საჭმელებით იყო სავსე სუფრა.

თამადაც გამოჩნდა. ჩვეულებრივი ქართული ჯიშისა და მოდგმისა, მომღიმარი სახით. გიორგი ავალიშვილი ამ მხარის შვილი გახლდათ. უაღრესად წესიერი და პატიოსანი ოჯახის შვილი, მყარი საუნივერსიტეტო განათლებით. მრავალი წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი და რაც მთავარია მართმადიდებელი ქრისტიანი. მან ჩვეულებისამებრ ხელი ჩამოართვა ყველას — სტუმრს — მასპინძელს და სუფრასთან მიიწვია. ვინაიდან სადილს სასულიერო პირი არ ესწრებოდა, გიორგიმ სანთელი აანთო, წაიკითხა ლოცვები, ჯვარი გადასახა სუფრას და სოხოვა თანამეინახებს გაეტეხათ პური.

მცირეოდენი დანაყენების შემდეგ, თამადამ თვალით ანიშნა გვერდზე მჯდომ კოტე სუჯაშვილს, რომ ჭიქები შეექსო. როდესაც კოტემ დვინის ბოთლის გახსნა დაიწყო, გიორგიმ გადაულაპარაკა:

— კი მაგრამ ჩვენი ქვევრის რქაწითელი არ მოიტანეს?

— არაო, რა ვიცი, უხერხელია სტუმრებს არ ეწყიოს, მაინც გაუფილტრავიაო, — ლაპარაკობდა კოტე და თან ბოთლს ხსნიდა.

— მაიცა, მაიცა, — გააჩერა გიორგიმ და ნოდარს გადაულაპარაკა,

— ამ გაფილტრულ დვინით აპირებ ამ ხალხის პატივისცემას.

ესენი ჩვენი ეროვნულის გასასინჯად მოვიდნენ აქ. ეს დვინო თბილისშიც თავზესაყრელი აქვთ.

ნოდარს ხმა არ ამოუღია, მიხვდა რომ შეცდა. ზაქროს ანიშნა დვინო მოეტანა. გახარებული ზაქრო მაშინვე გაიქცა მარაბში, ათ ვეღრიანი ქვევრი ჰქონდა მიზანში ამოღებული. უცბათ მოხადა პირი, ორშიმოთი თიხის დოქებში ჩაასხა და მიარებინა სუფრასთან.

— აი, ეგრე რა შე მამაცხონებულო. — სახე გაუნათდა გიორგის. ჭიქა შეიგსო, უქებე ადგა და მიმართა სუფრის წევრებს, — დრმად პატივცემულო საზოგადოებავ, სტუმრებო და მასპინძლებო, ქალბატონებო და ბატონებო, უფალმა კიდევ ერთი ლამაზი დღე გვაჩუქა ამ წუთისოფელ ში. ის ყოველთვის ჩვენთვის ზრუნავს და ჩვენგანაც იმასვე ელის, რომ კაცი, რომელიც მან შექმნა თავის ხატად, თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით მიექმებავსოს უფალს. სამწუხაროდ ეს ასე არ არის და ამიტომაც წმიდა იოანე ოქროპირი ჯერ კიდევ როდის ბრძანებდა: “ ადამიანო... შენი სიყვარულით გადმოვიდა დმურთი ციდან... უფალს აფურთხეს, მან კი თავისი წმინდა ხერწყვით დაბადებიდან ბრმას თვალი აუხილა; ხელი გაარტყეს, მან კი გამხმარი ხელი აღუდგინა; ებრაელებმა დევნეს იგი, მან კი დევნა მათი ცოდვები; ჯვარზე მოკლეს, როგორც აგაზაკი, მან კი მოკლა სიკვდილი მათი; ტყევეობაში, უდაბნოში მყოფო, მშიერო მწყურვალო მანანა უწვიმა, მან კი წყალი ითხოვა და ნადველი ასვეს; ზღვა განუპო ებრაელებს და გამოიყვანა, ამის სანაცვლოდ ლახვრით გვერდი გაუპეს.” თავის საქმეში გაწაფულებმაც ვერ იგარგეს და როგორც ილია მართალი ბრძანებდა: “თითქმის დავით წინასწარმეტველის სიმაღლემდე ასულმა ქართველმა პოეტმა” დავით გურამიშვილმა სწორად თქვა: “ასეთი კარგი საჩინო, რა ცუდად მიგიჩნიესო, ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც განაბინიესო.” დიდება უფალს! მე მინდა გთხოვოთ ყველას – დიდსა და პატარას, ქედოსან–მანდილოსანს, ავდგეთ ფეხზე და მივირთვათ უფლის საღიდებელი.

თამადამ მიირთვა სასმისით დვინო და დაჯდა. უქებე მდგარი ჟაკ მატიე თარჯიმანს უურადღებით უსმენდა. მერე კი აღფრთოვანებული შემოტრიალდა თამადისკენ, ჭიქა მაღლა ასწია და დასტურის ნიშნად ქვევრის რქაწითელით სავსე სასმისი ბოლომდე ჩამოცალა. უცებ შეჩერდა, ტუჩები რამდენჯერმე აამოძრავა, თითქოს დააგემოვნა დვინო და ნოდარს ჰკითხა:

— ეს რა დვინოა?

— ეს ის დვინოა, — უთხრა ნოდარმა, — რომელსაც ჩვენი წინაპრები და ჩვენც ტრადიციული წესით ვაყენებთ ქვევრში, ანუ განიხილიანი–გაუფილტრავი.

— რა დიდებული დვინოა, — თქვა ჟაკმა, — აი ეს დვინო უნდა გაიტანო მსოფლიო ბაზარზე. რატომ არ გაგაქვთ?

— არატრანსპორტაბელურია მისიე, უპასუხა ნოდარმა, — ტრანსპორტირებისას ფერს და გემოს იცვლის, ჩვენ ამას დვინის გადაბრუნებას ვეძახით. ლამაზი ქალივით ნაზია. ისეთივე მოფერება და მოვლა უნდა, როგორც ქალს. ამიტომ ადგილიდან შორს არ მიგვაქვს თვისებები რომ არ დაკარგოს.

ჟაპ მატიე დაჯდა სკამზე და რქაწითელით სავსე ღოქს შეხედა. უცებ შენაგანმა ხმამ დაიწყო ლაპარაკი — “მოგეწონე? ხედავ რა მაგარი ვარ! ჯერ რამდენიმე ჭიქა კიდე დალიე, მერე ნახავ მთვარეზე ოპერის მოსმენა რომ მოგინდება.” უკამა მიმოიხედა, ვინმე ხომ არ საუბრობს ზურგს უკან ან გვერდითო, მაგრამ არა. ისევ შეხედა თიხის ღოქს და ხმამ ისევ გააგრძელა — “რას მიუურებ! შენ ჯერ კიდევ არ იცი ვისთანა გაქვს საქმე. შენ ეს სირისტიანი დვინოები ხომ არ გგონივარ გვერდზე რომ დამიწუეს. დვინოს შუშაში რა უნდა, ხომ გაიგუდა. ის მიწაში უნდა იყოს, რადგან მიწიდან მოდის. როგორც თევზი ვერ გაძლებს დიდხანს წყლის გარეშე, ისე დვინოც ვერ გაძლებს მიწის გარეშე. ხომ ხედავ მე მიწის ზევითა ვარ და მაინც მიწაში ვარ, მშობლიურ მიწაში, ამ სირისტიანებმა კი, რომელთაც გამაგრებისათვის, წყლად რომ არ იქცნენ, სპირტს უმატებენ, თვითონაც არ იციან ვის ნათითხნ ჭურჭელში ახორცენ. კარგი ეხლა, სადღეგრძელოს მოუსმინე და მერე გავაგრძელოთ საუბარი.”

გაოცებულმა ჟაკმა თამადისკენ გადაიხედა, რომელიც მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად ემზადებოდა. თავისოვის ჩაილაპარაკა: “მართლა სამოთხეში ვართ, მიწიერ სამოთხეში. აქ უველა და უველაფერი ლაპარაკობს და თან რა აზრიანად.”

ამ დროს კი გიორგიმ მორიგი სადღეგრძელოს წარმოთქმა დაიწყო:

— ჩემო კეთილო ხალხო, ჩვენს დიდ პოეტს უთქვამს — “სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა.” ქართველი კაცი უფლის სადიდებლის შემდეგ სამშობლოს სადღეგრძელოს სვამდა. ეს ქვეყანა ხომ უფლის დედის, წმიდა მარიამის წილხვედრია და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილები დღემდე სარწმუნოებით, ენით და მამულით მოვედით:

“ქართლ-კახეთი იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
რაჭა, ლეჩეუმ-ჯავახეთი
და მესხეთი სასახელო.
ეგვი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
სვანეთი და აფხაზეთი,

გველი ტაო, იმერ ხევი
საინგილო და ლაზეთი.
მთიულეთი საარაკო
და აჭარის ზღვა და მდელო,
კველა ჩემი სამშობლოა
საყვარელი საქართველო!“

საქართველო და საფრანგეთი, მსოფლიოში უდიდესი და უძირფასესი საქმის მკეთებელი ქვეყნებია. ლინო ხომ ქრისტეს სისხლია. მაშ გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, ამჟამად ადგილის დედის თამადობით! – დაამთავრა თვალზე ცრემლმორეულმა გიორგიმ სადღეგრძელო და თიხის ჯამში ჩამოსხმულ რქაწითელს დაეწაფა. დაცლილი ჯამი, მერიქიფის ხელით ჟაპს გაუგზავნა და თან გასძახა:

- ჟაპ შეუდგები ქრისტესა?
- ფრანგს გადაუთარგმნეს თამადის ნათქვამი, მაგრამ გაკირვებულმა ვერაფერი ვერ გაიგო. მხრები აიჩეჩა. გიორგიმ აუხსნა, რომ ძველ საქართველოში, სადღეგრძელოს ერთად მირთმევის მიზნით, თამადა ასე მიმართავდა თანამეინახეს.
- აბა, ალავერდი რადაა? – იკითხა ქართულ სუფრაზე „გამოზრდილმა“ ჟაქმა.
- დალიე რა, – მოესმა ჟაპს თიხის დოქიდან რქაწითელის ხმა,
- თამადას ნუ მოაცდენ, მაგას მე აგიხსნო.
- შინაგანი ხმის გაგონებაზე შემკრთალ ფრანგს დვინის დასალევად მომზადებული პირი ლია დარჩა და შემკრთალმა მზერა დოქისკენ გააპარა.
- ხო, შენ გეუბნები! – არ ისვენებდა რქაწითელი, – დალიე და დაჯექი.

ჟაქმა ჩამოცალა დვინით სავეს ფიალა, დაჯდა და თიხის დოქს მიაშტერდა.

- ჟაპ! – დაიწყო დვინომ საუბარი, – ალავერდი რას ნიშნავს იცი?

მატიემ მხრები აიჩეჩა.

რქაწითელმა განაგრძო:

– ალაპვერდ თურქული სიტყვაა და დვთის ნაბოძებს ნიშნავს. მეტიჩარა ქართველების შემოტანილია ეს სიტყვა, ვითომ თურქების პატივსაცემად, სინამდვილეში ისე ჩაჭედეს ქართულ სუფრაზე, რომ დღეს კველა, დიდი თუ პატარა, ალავერდს გაიძახის. არადა ჩვენი წესი სადღეგრძელოს გადალოცვისა იყო “შევუდგეთ ქრისტესა”, რაც დვინით, ანუ სიმბოლურად ქრისტეს სისხლით,

როგორც ბარძიმით, ერთმანეთთან დაკავშირებას ნიშნავდა, რაც ამჟარებდა იმ აზრს, რომ ქართული სუფრა წირვის გაგრძელებაა. გაიგე ფრანგო! ეს შენ უნდა იცოდე, რადგან დვინის ქვეყნიდან ხარ.

— უქაცრავად, — შეაწყვეტინა სიტყვა რქაწითელს ქაქმა, — მაპატიეთ კადნიერებისთვის, სანამ კითხვას დაგისვამდეთ, იქნებ მიბრძანოთ როგორ მოგმართოდ, დვინის დოქო? ასე!..

— რა დოქი, რის დოქი, მე რქაწითელი მქია, დოქი ჩემი სახლია, ჩემი შესამოსელი. შენ ხომ არ დაითვერი უაპ? როგორ ხასიათზე დადგები მე რომ ასე მოგმართო: ბატონი ტანსაცმელო, ან მისი შარვალ-კოსტუმო, ჰა!?

— კარგით, კარგით მისიე რქაწითელო, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, — აკანკალებული ხმით განაგრძო საუბარი უაპმა, — იცით რაშია საქმე? ჩვენ როდესაც კახეთში წამოვედით, გზად რამდენიმე ისტორიული ძეგლი დაგვათვალიერებინეს, მათ შორის ულამაზესი და უმშვენიერესი აღავერდი. გამოდის რომ თურქების საპატივცემულოდ დაერქვა ამ ტაძარს სახელი თუ?..

— ეგა უაპ სხვა რამეა, — შეაწყვეტინა ფრანგს სიტყვა რქაწითელმა, — აი, ეხლა ჩვენ სადაც ვიმყოფებით, ამ მთებს კავკასიონი ჰქვია. კავკასიონს, გომბორის ქედსა და გარე კახეთის ზეგანს შორის მდებარე ველს, დღეს აღაზნის ველი ეწოდება. ჩვენი დიდი მეცნიერის, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ძველად თურმე ალონი ერქვა. “ველი ალონად წოდებული.” მდინარე ალაზანსაც სახელი აქვდან მიუღია. ვახუშტი წერდა: “ალაზნის დასავლეთით არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა ზღუდე — აალაბეგბიანი, გუმბათიანი, რომელმან მოიღო სახელი ალონის გამო ალონგუერდი.” ესე იგი მაგ ადგილს ალონგუერდი ერქვა. არაბების და თურქების ხანგრძლივი ბატონობის დროს, ქართული ალონგუერდი თურქულ-არაბულმა სიტყვამ — ალავერდმა ჩაანაცვლა, რაც “დვთის ნაბოძებთან” ერთად, ნაყოფიერებასთან და მოსავლიანობასთან იყო დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი აღაზნის სანახებისთვის უცხო არ არის. უაპ გაიგეე?

შავი განცვიფრებული შესცეკროდა გაუნძრევლად მდგარ თიხის დოქს და თან თვალს თამადისკენ გააპარებდა ხოლმე, რომელიც მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ემზადებოდა.

— ბიჭო! თავი დაანებე მაგ კაცს, რა ყურები გამოუჭედე მაგ შენი დარიგებებით, — მოესმა ზურგს უკან რქაწითელს. მიიხედა და რას ხედავს, ქართული წესით დამზადებული ბოთლში ჩასხმული “ტიბაანი” ელაპარაკება. გაეცინა რქაწითელს და ლიმილით მიაძახა:

— წადი შე გაფილტრულო! კაცს რომ ძარღვებსა და ჯანს გამოაცლიან, ეს იგივეა, რომ დაასაჭურისონ. შენ ხმას ნუ იღებ. მიდი აგერ შენს უკან ბებერი ფრანგი ქალი ზის და იმას ელაპარაკე. შენ რა მოსატანი იყავი სუფრასთან.

“ტიბაანმა” ხმა ვერ ამოიღო. ან რა უნდა ეთქვა დასპირ-ტულ-დასტერილებურ, ერთ დროს დვინოდყოფილს.

ამასობაში თამადა ფეხზე წამოდგა და მორიგი სადღეგ-რძელოს წარმოთქმა დაიწყო:

— ქართული სუფრა, რომ კარგად წარიმართოს, აუცილებელია თავიდან სამი სადღეგრძელო შევსვათ. ეს არის უფლის სადიდებელი, სამშობლოს სადღეგრძელო და იმ გმირების მოსაგონარი, ვინც თავისი სიცოცხლე გასწირა ქვეყნის და ერის გადასარჩნად. პირველი ორი სადღეგრძელო ჩვენ მივირთვით. ახლა კი ის გმირები მოვიგონოთ, ვისი თავდადების სანაცვლოდ, ჩვენს ხვენს სამშობლოში ვცხოვრობთ. გარეშე მტერთან ბრძოლა საქართველოში დღემდე გრძელდება და ამ მცირე ომებს ასობით ახალგაზრდა, საჯიშე გაუაცაცების სიცოცხლე შეეწირა. ასევე იყო საფრანგეთშიც. მარტო ახალგაზრდა ქალის, უანა დარკის გმირობა რად დირს. გთხოვთ, ყველანი ფეხზე ავდგეთ და მივირთვათ ჩვენი გმირების შესანდობარი.

მაგიდის გარშემო სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ ერთდროულად მიირთვა სახმისი და სუფრა ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა.

თამადამ ჰაშნაგირები და მერიქიფეები იხმო და შესაბამისი დავალებები მისცა. მერიქიფეები ფიალების შევსებას შეუდგნენ, ხოლო ჰაშნაგირები გარეთ გავიძნენ. თამადამ ფიალა აიღო ხელში და დიხვად დაიწყო მორიგი სადღეგრძელო:

— ქალბატონებო და ბატონებო, რაც ეხლა მე უნდა ვილაპარაკო, ჩვენი ქვეყნის ძირითად საქმიანობას და ამ საქმიანობის მამოძრავებელს — ვაზს შეეხება. ჩვენმა დიდმა წინაპარმა დიდი გარჯისა და ოფლის ფასად უპატრონა და გადმოგვილოცა ქართველებს ვაზის უნიკალური ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, ოჯალეში, ალადასტური, ცოლიკაური, ციცქა, უსახელოური და ასე შემდეგ. მან დაგვიტოვა მართალი დვინის დაუქნების რეცეპტი. ჩვენი უპირველესი ტაძრის, სვეტიცხოვლის კვდელზე მან გამოსახა “სიცოცხლის ხე”, რომელიც ვაზის მტევნებით შეამკო და ამით ვაზი და ლვინო სიცოცხლეს, გადარჩნას დაუკავშირა. მან შეიცნო, რომ ლვინო ქრისტეს სისხლის წინა სახეა. ის თვით უფალმა გამოარჩია, გააკეთილშობილა და გვიკურთხა, სულისა და ხორცის საკურნებლად დაგვიდგინა. ამიტომ ვაზი ჩვენი ერის სიმბოლო, ქრისტეს სისხლი-მართმადიდებლობის ჰეშმარიტი გან-

მსაზღვრელი. მის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყანა. სანამ ვაზი და დვინოა საქართველოში, ჩვენ არ გადავშენდებით.

თამადას სიტყვა ტაშის დაკვრამ შეაწყვეტინა. ფრანგები განსაკუთრებული ემოციით შეხვდნენ სადღეგრძელოს. გიორგიმ ყველას ანიშნა, რომ ჯერ სათქმელი არ დაემთავრებინა. სიჩუმემ დაისადგურა და თამადამ განაგრძო:

— ქართული ვაზის ამბავი საქართველოს უტყვი ისტორიაა. ქართველი ერის და ვაზის ბედის განუყოფლობა ისტორიამ დაადასტურა. მტერმა იცოდა, რომ ვაზის ამოძირკვით ჩვენს სულიერებას, ქართველობას ემუქრებოდა საფრთხე. ამიტომაც დაუნდობლად გვიჩეხავდა ვაზს, ვენახს ნავენახარად გვიჩვევდნენ, ფუქს გვიშლიდნენ. ქართველ კაცს საბედისწერო პირობებშიც კი, ბედის ანაბარა არასოდეს მიუტოვებია ვაზი. ომებით იავარქმნილი ამოისუნთქვდა თუ არა, ვაზის გაშენებას იწყებდა. საეკლესიო მამულებში ვაზი ყოველთვის იყო ერთ-ერთი უწმიდესი მცენარე. მევე დემეტრი პირველი დვითისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელში წმიდა ქალწელს ვაზს ადარებს: “შენ ხარ ეენახი ახლად აყვავებული.” ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა ვაზის 524 ჯიშის ნუსხა დაგვიტოვა. ხოლო მაქსიმე რამიშვილი კი ამბობდა: “ თითოეული ქართული ვაზის ჯიში ისტორიული ძეგლია. რქაწითელის, საფერავის, თავკევრის, ცოლიკაურის, ოჯალეშის, ჩხავერის, ალექსანდროულის და სხვათა შექმნაზე იმდენი შრომა გაწეული, რამდენიც სვეტიცხოვლის, გელათის, გრემის, იყალთოს და სხვა ისტორიული ძეგლების მშენებლობაზე.” ამიტომაც ამბობდა წმიდა ილია მართალი: “ჩვენებური დვინო მართალი დვინო... ჩვენს დვინოში არ არის რა, გარდა უურმნის წვენისა.” სწორედ ასეთი დვინო, დავით წინასწარმეტყველის თქმისა არ იყოს: “ახარებს გულსა კაცისასა.” მაშ გაუმარჯოს ყველაზე სათაყვანებელ მცენარეს დედამიწის ზურგზე – ვაზს.

ისევ ტაშმა იგრიალა. ფრანგები, უკვე აწითლებული ლოცვებით ვერ მაღლავდნენ ქმაროვილებას და აღტაცებას. ერთ-ერთმა სუფრის წევრმა, რომელიც საფრანგეთის მევენახეობის მხარიდან იყო წამოიძახა:

— ერთი ჩვენებური დვინოც გავსინჯოთ. მისი ექსპორტი საკმაოდ წარმატებულია მსოფლიო ბაზარზე.

იქვე მაგიდაზე მდგარ გაუხსნელ ფრანგულ დვინოს მოჰკიდა ხელი და მისი გახსნა დაიწყო.

— ჰა! – ჩაილაპარაკა თავისთვის რქაწითელმა, – მაგის გახსნას ჩვენი ადესა მოაგანინონ. დაიწყო სიაფანდი დვინოების შეჯიბრი. ჟაკ! მიდი უთხარი ადესა მოიტანეთ-თქო. შენ დაგიჯერებენ.

რქაწითელისაგან შეძარხოშებულმა მატიემ მართლა დაიძახა ხმამაღლა:

— ადესა გავსინჯოთ, ადესა.

თუმცა არ იცოდა რა დვინოზე ლაპარაკობდა. ასე იცის რქაწითელმა.

ნოდარს ცოტა არ იყოს გაუკირდა სტუმრის თხოვნა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ბიჭებს ანიშნა შემოეტანათ დვინო.

რქაწითელმა გადაიხარხარა და როცა ადესა ლამაზი, გამჭირვალე შუშის დოქით წინ დაუდგეს ჟაპს, ამ უკანასკნელმა შეიცხადა:

— ეს მიწაში ანუ თიხის დოქში რატომ არ არის ჩასხმული?

— მაგას რა უნდა მიწაში, — გაეცინა რქაწითელს, — უვავივით ხის წვეროშია გამოკიდებული. ტყუილად კი არ უმდერიან: “ხის წვეროში ჩიტი გჭამდა გიდლით ჩამოგიტანეო, რა ყოფილხარ ყურძნის წვენო მაინც ვერ გამიტანეო.” ეხლა აიღე ეგ შენი ფრანგული დვინო და ადესის გვერდით დადგი, როგორც ჩვენში იტყვიან: “ფერი ფერსა მადლი დმერთსაო.” რა მაგარი დუეტი გამოუვათ. შენ კი, ჟაპ, დვინოს ნუ აურევ, თორემ მე უცბათ ვიცი გაბრაზება, ადვილად გაგთიშავ და თამადის სადღეგრძელოების ჩაწერა და პურ-მარილი უკან დაგრჩება. სჯობს ცოტა დალიო და დრო გაატარო.

ქაქმა ცივად გაუშვა გაშეშებული ხელი მშობლიური დვინით სავსე დაბეჭდილ ბოთლს, მიუჩინა ადგილი ადესის გეერდით, მშვიდად დაეშვა სკამზე და მოემზადა მორიგი სადღეგრძელოს მოსასმენად, რომლის წარმოოქმასაც აპირებდა ფეხზე წამომდგარი თამადა.

— მაშ ასე, ჩემო კეთილო ადამიანებო, — დაიწყო გადიმებულმა გიორგიმ და მარჯვენა ხელი, რომელზეც დვინით სავსე ფიალა იწონებდა თავს, ზევით ასწია, — მე მინდა ამ ლამაზი ქართული სასმისით ჩვენი წინაპრების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. დამეთანხმებით, განსაკუთრებით კი ჩვენი სტუმრები, როდესაც დავხედავთ საქართველოს რუპას, გაოცებულებს გაგვიერდვებს გონებაში აზრი, როგორ გაძლო ამ ქვეყანამ და როგორ გადარჩა. მართლაც რამდენადაც მშვინიერია საქართველო, იმდენად საბედისწერო ადგილზე დაავანა განგებამ, ორ ზღვას შუა, საქრისტიანო-სამუსლიმანო გზაგასაყარზე და იმპერიების გარემოცვაში. ამიტომაც არის ჩვენი ისტორია ქარცეცხლიანი. რომ არა დმერთის მფარველობა, ჩვენი წინაპრების მარჯვენა, დღეს საქართველო ადარ იარსებებდა და აღარც შესანიშნავი პურ-დვინო იქნებოდა თქვენი მასპინძელი. ქართული მისალმება გამარჯვება,

სიტყვა გამარჯვნებისაგან წარმოსდგება, რაც უფლის გზით სიარულს ნიშნავს. ჩვენმა წინაპრებმა სახელოვნად განვლეს გზა ისტორიულ ქარტებილებში და დღემდე ვცხოვრობთ ამ მაღლიან მიწაზე. ისტორიულ აღმასვლაში თითოეული ჩვენთაგანის წინაპარს თავისი მოკრძალებული წვლილი აქვს შეტანილი. ამიტომ მე მინდა მათი შესანდობარი დავლიო და ვთხოვო მაღალ დმერთს ნათელში ამყოფოს მათი სულები.

მამაკაცები ფეხზე წამოდგნენ და უველამ ბოლომდე ჩამოცალა რქაწითელით სავსე ფიალა. ჟაკი, რომელიც უველა სასმისს ბოლომდე მიირთმევდა და გაუთამაძდა რქაწითელს, დაჯდომისას, რომ არა ნოდარის დახმარება, ასცდებოდა სკამს.

ჟაკ! – გაისმა რქაწითელის ხმა ღოქიდან, – რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, თქვენი, უვროველების სირისტიანი დვინო არ გეგონოთ, თორქმ თუ გადაჭარბებით მიირთვი ჩემი ნექტარი, ამ, თქვენგან სამოთხედ აღიარებული აღგილიდან უკუნეო ჯოჯოხეთში მოხვდები.

ჟაკმა სახეზე მოისვა ორივე ხელი, სკამზე გასწორდა, თავი რქაწითელით სავსე დოქისაკენ დასწია და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– თქვენები რომ სვამენ. ისინი არ დათვრებიან?

– ბიჭო შენ ვინა ხარ?! – გაეცინა რქაწითელს, – აბა შეხედე, ეგენი მხოლოდ ფიალებს ცლიან ბოლომდე, ჰიქაში კი დვინოს ცოტას ასხამენ და მისი დალევის შემდეგ ბევრს ტოვებენ შიგნით. შენ კი ჰიქაშიც და ფიალაშიც გაალვა გააჩინე. რუსი რომ იყო არ გაგაფრთხილებდი. იმათ ხომ დვინის ფასი არ იციან. შენ ხომ ფრანგი ხარ, თან წარმოშობით გავგასიელი, დვინის ქვეყნიდან, ეს უნდა იცოდე. თქვენს ქვეყანაში კლუბებით სვამო დვინოს, აქ რა მოგივიდა კაცო? სიდრი ხომ არა ვარ, რომ გამაფუჭო?

მარანში ზაქრო და ვანო შემოვიდნენ. ხელში მწვადით დახეუხძლული შამფურები ეკავათ. ირგვლივ საამო სურნელი დატრიალდა. სუფრის წევრები გამოცოცხლდნენ. ფრანგებისთვის უცხო არ იყო შემწვარი დოროს ხორცი, მაგრამ წალამზე შემწვარმა მაინც თავისი გაიტანა და კიდევ ერთი საოცრებად მოევლინა ისედაც განცვიფრებულ სტუმრებს.

– თუ გინდა რომ დიდხანს გაძლო სუფრასთან, მწვადი მიირთვი ჟაკ. – არ ისვენებდა რქაწითელი.

ჟაკმა გაითვალისწინა რქაწითელის შენიშვნა, გემრიელად მიირთვი მწვადი და ჰიქაც ისე შეავსო როგორც უთხრეს. შემდეგ მიუბრუნდა ნოდარს და ჰკითხა:

– მისიე ნოდარ, მაინტერესებს თქვენთან დვინით რატომ არ აგსებენ პირამდე ჰიქებს და სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ ბოლომდე რატომ არ ცლიან?

— ეს ტრადიცია სათავეს საუკუნეების სიღრმიდან იდგბს, — უპასუხა ნოდარმა, — ქართველს მტერი მუდამ ჰყავდა და სიმცირის გამო ძირითადათ თავდაცვა უხდებოდა.. ამიტომ მისთვის არც დათობა შეიძლებოდა და არც გადაჭარბებული ფიზიკური შრომა. ის ყოველთვის ფხიზლად და ფიზიკურად მომზადებული უნდა ყოფილიყო, რომ მოულოდნელად მომზადებურ მტერს დახვედროდა. ეს ჩვევა დღემდე მოგვდენს და ვცდილობთ, რომ ტრადიცია არ დავარღვიოთ.

უაკმა თავი გააქნია, წარმოიდგინა რომ ის მტერს არ უნდა დახვედროდა და როდესაც თამადამ სტუმრების სადღეგრძელო წარმოსთქა, მან სამადლობელი ბოლომდე ჩამოცალა, ნელა დაეშვა სკამზე და ერთგვარ მოჯადოებულ სივრცეში გადაეშვა.

— გამოგვეცალა ხელიდან. — ჩაიბუტბუტა რქაწითელმა და დოქტორ შეჯანჯდარდა.

მაგიდიდან თაგანაქინდრული უაკი დაფრინავდა ხან საფრანგეთის და ხან საქართველოს თავზე. ბოლოს თავისი დიდი პაპა ფრანსუა გამოეცხადა. უაკს მასთან ახლოს უნდოდა მისევლა, მაგრამ რაღაც ძალა აჩერებდა. ბოლოს როგორც იქნა ისინი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

უაკ! — მკაცრი ტონით მიმართა ფრანსუამ შვილიშვილს, — ხომ გაგაფრთხილეს, რომ საქართველოში სახმელს არ მიეძალოო. განა რადგან მედვინე ხარ ლოთობა ხომ არ უნდა გაიხადო შენი ცხოვრების თანამგზავრად. რისთვის ჩახვედი საქართველოში თუ გახსოვს?

უაკმა მოიკრიბა ძალა-დონე და თავაწეულმა უპასუხა:

— დვინის წამოსალებად.

— მერე ეძებ იმ დვინოებს, რომლებიც ევროპაში უნდა გადმოტვირთო? ერთი მათგანი სწორედ ეგ არის რქაწითელი, რომლითაც შენ გამოვევრი. ხოლო მეორე ივრისპირეთშია. მას საფერავი პქვია. მისი ხერგი საქართველოში მცხოვრებმა გერმანელმა შვაბებმა ჩემგან წაიდეს, თავად ჩოლოეაშვილთან ერთად შეაჯვარეს ადგილობრივ წითელი ვაზის ჯიშთან და მიიღეს უნიკალური საფერავი, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. აი, ეგ დვინოები უნდა გამოაგზავნო აქეთ.

— საფერავიც და რქაწითელიც ორივე უნიკალური ჯიშია, — უპასუხა უაკმა პაპას, — მაგრამ მათი ტრანსპორტირება არ შეიძლება, რადგან ისინი მიწაში ანუ ქვევრში იწურება და იქიდან ასევე მიწაში ანუ დოქტორ ჩამოისხმება და გადაადგილებას ვერ უძლებს. მაშინ, მაშინ, — დაიბნა ფრანგი, — მიწიანად უნდა წამოვიდო... საქართველოს არავინ გამომატანს საფრანგეთში...

— მის უდიდებულესობას, ქართულ დგინოებს გაუმარჯოს! — თამადის წარმოთქმულმა სიტყვებმა გამოაფხიზლა ჟაკი, — საფერავისა და ოქაწითელის თამადობით. ოქაწითელი, ბატონებო, სუფრის მთავარსარდალია, ხოლო საფერავი — საბარძიმე, რომელიც ტაძრის საკურთხეველში სული წმიდის გადმოსვლის შემდეგ, ქრისტეს სისხლად გარდაიქმნება და აძლიერებს მორწმუნებს. მაშ გაუმარჯოს მსოფლიოში ყველაზე უძვირფასეს სითხეს — დვინოს საფერავისა და ოქაწითელის თამადობით.

— გაიგე ჟაკ?! — შეეხმიანა ფრანგს დოქიდან ოქაწითელი, — საქართველოდან ბერძნებმა ოქროს საწმისის გატანა კი შეძლეს, მაგრამ დვინოს, ნადდ დვინოს კერავინ გაიტანს. ეს ჩვენი სიმდიდრე და სიამაყეა. თუ გინდათ აგერ გაფილტრულ ანუ ნამუსგარეცხილ დვინოებს გაგატანო რამდენიც გინდათ, ჩვენ კი ნურას უკაცრავად.

— კი, მაგრამ თქვენ რატომ არა? — არ ცხრებოდა ჟაკი.

— იმიტომ ჩემო კარგო, რომ უფლის მეორედ მოსვლა აქ, დვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, საქართველოში უნდა მოხდეს და ყველა, ცხონებისათვის დირსი აღამიანი აქ უნდა ეზიაროს ქრისტეს სისხლს — დვინოს. ამიტომ ჩვენ, მიწიდან შექმნილი სითხე ქართულ მიწაშივე უნდა ვინახებოდეთ, რათა დირსეულად აღვასრულოთ ჩვენზე დაკისრებული დვთიური მისია. ასე, რომ ზოგიერთებივით, მსოფლიოში სატანტალოდ არა გვცალია.

ჟაკი განციფრებული უყურებდა საფერავს, ოქაწითელს, თანამეინახეთა გაბრწყინებულ სახეებს და მხოლოდ ახლა მიხვდა, თურმე რა შორს ყოფილა ჭეშმარიტებისაგან, რომ ეპროპა კი არ არის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრი, არამედ ეს მიწა, რომელიც დვთისმშობელმა თავის სავანედ გამოარჩია...

სოფელ იღბლიანს კი თავზე დასდგომოდა მთვარის ნათელი, რომელმაც ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გადაშალა და სათუთად ჩაიქრა გულში.

სართიჭალა
2009 წელი.

„ ფარა რომ შემობრულდება.. „

სახელმწიფოს მეთაურმა, როგორც იქნა, თავისი გაიტანა და ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმები წლის ოცდაოთხ აგვისტოს, პარლამენტს, მხურვალე ტაშის გრიალში, მიაღებინა საქართველოს კონსტიტუციი ისეთი რედაქციით, როგორც თვითონ აწყობდა. ამ დოკუმენტით მან კიდევ უფრო დააჩქარა ომგამოვლილი, გავერანებული, გაპარტახებული და სიდატაგისაგან დაჩიავებული დედა დვითისმშობლის წილხვედრი ქვეყნის უფსერულში გადაჩეხვის პროცესი. საქართველოში დაიწყო ძალთა და გავლენათა სფეროების ხელახალი გადანაწილება. ახლადშექმნილმა მოქალაქეთა კავშირმა თავის რიგებში გააერთიანა კომუნისტების ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. ეროვნულ მოძრაობაში გადაბარგებული სკამის მაძიებლები და მედროვეები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ კომპაკშირელები, რომელებმაც ქვეყანაში წყობილების შეცვლის გამო, ვერ მოასწრეს ასაპარეზზე გამოსვლა და თავი ვერ გამოიჩინეს, თავისი დიდი “მასწავლებელივით”, სამშობლოს ნგრევის საქმეში. რაც შეეხებოდა კომუნისტების სხვადასხვა ჯიშის და რჯულის აგენტურას, აგრეთვე ეგრეთწოდებულ დამსახურებულ “ნასედებს”, მოქალაქეთა კავშირის “მამების” მითითებით გააძლიერეს არსებული პოლიტიკური პარტიები და შექმნეს ახალიც, რომელიც შემდეგ მორჩილი ოპოზიციის როლს შეასრულებდა. ერთი სიტყვით, ამ მოძრაობისათვის შორიდან რომ შეგეხედათ, გაგასხენდებოდათ ცნობილი სიტყვები: “ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო.”

უკელა ამ ზნედაცემულმა, ტვინდაკოჭლებულმა და ანტიეროვნულმა ძალებმა, საკუთარი მატერიალური უზრუნველყოფის და კეთილდღეობის სანაცვლოდ, ერთობლივად დაიწყეს სახელმწიფო მეთაურის ნათესაობის, მისი კლანის გაძლიერება.

ანტიქრისტეს უკვე ტახტს უმზადებდნენ ტაძარში დასაჯ-დომად..

კიდევ ერთხელ დაიწყო საქართველოში უმეცრებისა და უზნეობის პერიოდი. ქვეყანა ახლადამდვრეულ დვინოს დაემსგავსა, როდესაც დექი ზედაპირზე ამოდის დამ ის დაწმინდავებას გარკვეული დრო სჭირდება. ისტორიისათვის ოცი და თუნდაც ორმოცდაათი წელიწადი არაფერია. ის მხოლოდ ზღვაში წვეთია.

სახელმწიფო მეთაურს რომ ჩამოეყალიბებინა თავისი, სახელმწიფოს მართვის კლანური სისტემა, ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებასთან ერთად უნდა მოქსპო ის ბიზნეს სტრუქტურები, რომლებმაც არეულობის დროს არ უდალატეს ქვეინის ეკონომიკის ინტერესებს, თავიანთ ზურგზე გადაიტანეს სახელმწიფოს გადარჩენის სინელევები და ახლა ელოდნენ საქმიანობისათვის ნორმალურ გარემოს. სიკეთის მკეთებელი ბინესმენები უნდა აღგვილიყვნენ პირისაგან მიწისა, რათა გაწმენდილიყო გზა საზღვარგარეთ მყოფი სახელმწიფო მეთაურის ხალხისათვის, რომლებმაც არეულობისა და ომის დროს, მისხივე ხელშეწყობით, ქვეყნიდან ყაჩაღური გზით გაიტაცეს ფული და სხვა სიმდიდრე და ახლა გაორმაგებული კაპიტალის დაბანდება სურდათ საქართველოში. აგრეთვე, უნდა გაწმენდილიყო ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი უცხოური მდარე ხარისხის საქონლის შემოსატანად. ანუ ბაზრის გაყიდვაზე ცხადდებოდა ტენდერი. ვინც ამ საქმეს წინ აღუდგებოდა და ხელს შეუშლიდა ქვეყანაში სახელმწიფოს პირველი პირის “ეკონომიკის” განვითარებას, რომლის საბოლოო მიზანი მასიური უმუშევრობა და სამშობლოს დაცვევა იყო, იგი განადგურდებოდა. უკეთეს შემთხვევაში დატოვებდა ქვეყანას. ეს პროცესი შენიდბულად ორი წელია მიმდინარეობდა, ახლა კი დაიწყო დია დაპირისპირება სადი, პატრიოტული და მამულიშვილური აზროვნების საბოლოო განადგურებისათვის.

ანტიქრისტე თავისი მოციქულებით ნიდაბ ჩამოხსნილი დაიძრა ტაძრისაკენ.

ბაქარ სავანელი ბიზნესმენთა იმ კატეგორიას განეკუთნებოდა, რომლებმაც საკუთარი საქმიანობიდან მიღებული მოგება, მცირე გამონაკლისის გარდა, ქვეყნის გადარჩენასა და კეთილდღეობისაკენ მიმართეს. ბაქარის ფირმას მარტო აფხაზეთის ომში ერთ მიღიონამდე დოლარის დირებულების იარაღი და სურსათი ქონდა გაგზავნილი. თუმცა ყოველივე ამან მიაღწია თუ არა აფხაზეთამდე, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ქველმოქმედების დიდი ნაწილი მიმართული იყო სხვადასხვა სახელმწიფო საქმიანობის აღორძინებისაკენ. ბაქარის ფირმას მოსახლეობის დახმარებისათვის ცალკე ფონდი ჰქონდა. ასეთი და მრავალი სხვა კეთილი საქმიანობისათვის სავანელი შავ სიაში იყო შეყვანილი.

გვიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ თბილისურ დილას ბაქარი ჩვეულებისამებრ ოფისში მივიდა. მდივანს მიესალმა და სთხოვა:

— არავინ შემაწუხოს, ბევრი საქმე მაქვს.

საქმე მართლაც ბევრი ჰქონდა. სულ რამდენიმე დღის წინ ხელშეკრულებების პირობები გამოუგზავნეს ევროპისა და აზიის ორგანიზაციებმა. პასუხი დროულად უნდა გაეცა. კაბინეტში შესვლისთანავე ფანჯრის შტორები სანახევროდ ჩამოსწია, დაჯდა სამუშაო მაგიდასთან და ქადალდებში ჩაეფლო. მდივნის სატელეფონო ზარმა შეაწყვეტინა წერა:

— ბატონო ბაქარ, ყავას ხომ არ მიირთმევთ?

— კარგი იქნება, — თან დააყოლა, — არავინ შემოვიდეს, არ მცალია.

მისაღებში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. რა თქმა უნდა ყველა სათხოვნელად იყო მისული.

ბაქარმა საათს დახედა. ოფისში შემოსვლიდან ოთხ საათს უცებ გაერბინა. მდივანმა ყავა შემოუტანა.

— ბევრი ხალხია? — პკითხა ბაქარმა მომხიბლავ ქალიშვილს.

— დიახ, ბატონო ბაქარ.

— ჩემს მაგიერ ყველას ბოდიში მოუხადე. ნახევარ საათში დავიწყებ მიღებას.

მდივანი გავიდა კაბინეტიდან და ფრთხილად მიიხურა კარი.

ბაქარმა ყავა მოსვა და მიმოიხედა. “ეს შტორები მაინც ავწიო, რას ვაბენელებ ამ ოთახს. სიბენელე ქვეყანაში არ გვეყოფა. აღმოსავლეთიდან ამოსული მზე არ ჰყოფნიდა, ჩრდილოეთიდანაც ამოიყვანა. ახლა კი სულ ჩაგვაბენელა” — ფიქრობდა ბაქარი იმ გაუსაძლის მდგომარეობაზე, რომელიც ქვეყანაში იყო შექმნილი და თან ფანჯარაზე ჩამოშვებულ შტორს ზევით სწევდა. უცებ საშინელი ხმაური გაისმა, ფანჯრის მინები მთლიანად ჩამოიმსხვრა და მაგიდაზე მდგარი ყავის ფინჯანიდან მხოლოდ სველი წერტილი დარჩა.

ბაქარს ესროლებს. აშკარა იყო, რომ გასროლა მისი ოფისის მოპირდაპირებ მდგარი კორპუსიდან მოხდა. ყველაფერი ისე უცებ განვითარდა, რომ ბაქარი, რომელსაც გონება ერთი წამითაც არ დაუკარგავს, როგორ აღმოჩნდა სამუშაო მაგიდის გვერზე მდგარი სამუშალის დივაზე, თვითონაც ვერ მიხვდა. მდივანთან ერთად, მისაღებში მყოფი ყველა ადამიანი ბაქარის კაბინეტში შემოვარდა. ყველა გაოგნებული იყო. ტყვია საწერი მაგიდის იმ აღგილს იყო ჩაჭედილი, სადაც ყავის ფინჯანი იდგა.

სავანელი გადარჩა, თან ისე, რომ ერთი ნაკაწრიც არ აღმოაჩნდა.

“უფალმა გადამარჩინა”, – გაიფიქრა ბაქარმა, – “დიდება ღმერთო შენს სახელს”.

ოფისის დაცვამ პოლიცია გამოიძახა. ყველა ფორმალობის დამთავრების შემდეგ ბაქარი სახლში წავიდა. საბედნიეროდ, არავინ დახვდა, თორემ მისი შეშლილი სახის დანახვაზე ატყდებოდა წიგილი-კიგილი. შესვლისთანავე აიღო ტელეფონის ყურმილი და თავის მეგობარს ბათუ გაჩეჩილაქს დაურეკა:

– ნიკალაევი! ცხელი თონის პურზე და გუდის ყველზე რას იტყოდი? ზედ მწვადიც და წითელი ღვინოც რომ დავაყოლოთ?

– ვაშ! კაი რამეა ტო. – გაეხარდა ბათუს, – მერე სად არის რო?

– შენი მანქანით გამომიარე, ჩემით არ მინდა წასვლა, სოფელში ჩავიდეთ და ცოტა გავეთიშოთ ამ ცხოვრებას.



ბაქარმა ბათუს გზაში ყველაფერი მოუყვა, თან სოხოვა არავისთან ეთქვა მომხდარის შესახებ.

– დღეს ჩემები აპირებდნენ თბილისში ჩამოსვლას, – უთხრა ბაქარმა ბათუს, – იმიტომ ვჩქარობ, რომ ჩავასწრო. სოფელში შეუქი არ არის და ტელევიზორსაც ვერ უყურებენ. ხომ იცი ამ ამბავს საინფორმაციო საშუალებებით გააშუქებენ და არ მინდა ცოლ-შვილს გული ვატკინო. მერე კი გაიგებენ, მაგრამ ამჯერად ასე სჯობს.

– რაზეა ლაპარაკი ბაქარ, ძმაო, – თქვა ბათუმ, მანქანას სიჩქარე გამოუცვალა და გააქროლა, – სწორი გადაწყვეტილება მიგიღია. წამოდი დროზე ჩავიდეთ, ოქვენებმა არ გამოგვასწრონ. მეც არ გამიკვირდა თავისი მანქანით რატომ არ წამოვიდა-მეოქი. იმ შენი ენაჭარტალა მძღოლის პირში ხომ არაფერი ჩერდება. ვაშ! რა გადარჩი ტო? ამათი დედაც... გაუჰქოე შენ ამ მთავრობას სიკეთე... ფრთხილად უნდა ვიყოთ ტო.

– ვინც რაიმე სიკეთე გააკეთა ქვეყნისთვის ყველას ხოცავენ, – ჩაილაპარაკა ბაქარმა, – თუ სიკვდილი არ გინდა უნდა გაასწრო. სად წავიდე ტო? არ მინდა სხვა ქვეყნაში ცხოვრება!... განსაკუთრებით ტერაქტის შემდეგ გაატიურდნენ.

– ეგ ტერაქტიც თვითონ გაითამაშეს, რომ სიტუაცია სათავისოდ გამოეყენებინათ და გაუმართლათ.

— ჯანდაბამდე გზა პქნიათ. სადაც წვრილია იქ გაწყდეს, — თქვა ბაქარმა და სავარძელზე გასწორდა, — ჩვენ თავს მიგხედოთ, დღეს უნდა დავთვრე.

— მაიცა ტო, რა დროს ეგ არის ამ ცხელ გულზე. ჩვენმა პურ-მარილმა დღეს ჩაილურის წყალი დალია.

— არაფერიც, — გაეცინა ბაქარს, — ეგ მაშინ დალევდა თუ ჩაილურს გავიკლიდით, ჩვენ კი უკვე მოვედით.

საუბარში გართულები ისე მოუახლოვდნენ სოფელს, რომ მხოლოდ სოფლის აღმნიშვნელი ტრაფარეტის დანახვის შემდეგ მიძოიხედეს ირგვლივ. გვიანი შემოგდომის თბილი დღე იღგა. ეს ის პერიოდია, როდესაც მზე ნელა-ნელა კარგავს სითბოს და დღის განმავლობაში მხოლოდ სამი-ოთხი საათი თუ შეიძლება მზეზე გათბობა. ბაქარი და ბათუ ამ დროს შემოვიდნენ სოფელში. მაცხოვრებელნი გარეთ იყვნენ გამოსულნი და მზეს ეფიცხებოდნენ. მოსავალი უკვე აედოთ. ახლად მოჭრილი ჩალა მოსახლეობას ეზოების წინ დაეხვავებინა და ნელა-ნელა, ტაატით ეზიდებოდნენ სათივეებში. ზოგი შეშის ჭრით იყო გართული. ხალხი გამოსაზამთრებდად ემზადებოდა. ბაქარი ხელის აწევით ესალმებოდა თანასოფლელებს.

— სად წავიდეთ? — დაარღვია სიჩუმე ბათუმ.

— ჩემს სიმამრთან. — უპასუხა ბაქარმა. — კარგი საფერავი დაუდგა. პურსაც გამოგვიცხობენ და სიღედრი დედალასაც დამიკლავს. ხომ იცი ჩემთვის არაფერს იშურებს.

— ჰომ, მაგარი ქალია ქალბატონი ელენე, — დაადასტურა ბათუმ, რომელიც ბაქარის სიღედრ-სიმამრს კარგად იცნობდა, — შენ მართლა მაგრად უყვარხარ. თან ძალიან ემოციური ქალია.

— საერთოდ, ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, სიღედრთა უმრავლესობა ემოციური ქალბატონები არიან, — თქვა ბაქარმა და მომხდარის შემდეგ პირველად გაედიმა, — ხომ იცი რატომაც. არ გჭირდება შენ ამის ახსნა. ჩემი სიღედრი რომ შესანიშნავი ადამიანია, ამაში გეთანხმები. მერე იცი ეგ ვისი დამსახურებაა?

— ვისი?

— ჩემი სიმამრის, — ამაყად წარმოთქვა ბაქარმა, რომელსაც სიმამრი ძალიან უყვარდა, — მან მთელი თავისი ცხოვრება შრომაში და კაცურკაცობაში გალია, იმიტომაც მიუვარს მაგასთან პურ-მარილი, რადგან მის მიერ მოწვდილი ლუკმა ალალ-მართალი შრომით არის მოწეული.

ამასობაში ბაქარის სიმამრის კარ—მიდამოსაც მიადგნენ. მწვანეში ჩაფლული პატარა სახლი და ეზო დანახვისთანავე კარგ ხასიათზე მოიყვანდა ადამიანს. მოხუცი ცოლ—ქმარი ქალბატონი ელენე და ბატონი ვარლამი ეზოში ფუსფუსებდნენ. რა არ პქონდათ იქ: საქათმე — უამრავი დედალ—ვარიათი, ბოსელი — კარგად მოვლილი მეწველი ძროხებით და დასაკლავად გამზადებული მოზვრებით, საღორე — საშობაოდ, გასასუქებლად დაყენებული ღორებით, სასიმინდე, სათივე და კიდევ ათასნაირი სათავსო, რომელიც სოფლად გლეხი კაცის ყოფა—ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მთავარი კი მარანი იყო, ღვინით სავსე ქვევრებით და ბოცებით, ჰერზე ჩამოკიდებული ხახვისა და ნივრის გალებით, თაროვებზე ჩამწკრივებული ათსნაირი დაკონსერვებული პროდუქტებით და მრავალი და მრავალი სხვა. მარნის გვერდით კოხტად მოეწყოთ თონე, სადაც საგულდაგულოდ ჩალაგებული ფიჩხისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. ცეცხლი სამურად ბრიალებდა და ხმელ ფიჩხის სასიამოვნო ტბაცატკუცი გაჭქონდა.

— გამარჯობათ უფროსებო! — ჯერ კიდევ მანქანიდან გადასძახა ბათუმ მასპინძლებს. შემდეგ გადმოვიდა, ორივეს გადაგხვია, აკოცა და ხმამაღლა გააგრძელა, — ჩვენ გულში იჯექით კაცო, კაკრაზ ცხელი პურის საჭმელად ჩამომიყვანა ბაქარმა.

— პოდა ძალიანაც კარგად უქნია ბაქარს, — შეაგება სიტყვა სავანელის სიმამრმა ვარლამმა სტუმარს, — მაგას მამამისივით განვითარებული ყნოსვა აქ, თანაც გუმანითა გრძნობს სად იშლება პურ—მარილი და გულიც იქით მიუწევს. აბა, თქვენს მოსვლას გაუმარჯოს, ჩვენ აქ დახვედრასა.

— აბა სიმამრო გულის ყველი გააქ? — თქვა ბაქარმა და გადაეხვია ვარლამს.

— გულისაცა მაქ და საქონლისაც, თქვენ ოდონდ მოითხოვთ.

— პოდა ბათუს ვენაცვალე, აგვწყობია საქმე. წამოდი, სანამ თონე გახურდება, სამწვადე ვიყიდოთ.

ამ დროს სახლიდან ბაქარის მეუღლე გამოვიდა:

— ოქ! გამარჯობათ! ჩვენ ახლა ვაპირებდით თბილისში წამოსვლას. რა კარგია მანქანით წავალთ.

ბაქარმა გადახედა ბათუს. ორივენი ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ სამწვადის საყიდლად.

— ბათუ, მოგიწევს დალევა, — უთხრა ბაქარმა, — დღეს ჩვენი თბილისში წასლა არ შეიძლება.

— ვაკ! რა ჯიგარი ხარ ძმაო! — იყვირა გაჩეჩილაძემ, — ვინუკდენი გრიალი გვაქ?

— რას იზამ. ზოგჯერ ასეა საჭირო. ჩემი ცოლი ხომ იცი რა ფრთხილია. ნასვამს რომ დაგინახავს, თბილისში წასვლაზე ხელებს გაასაკავებს.

სანამ ბათუ და ბაქარი სამწვადის მოსატანად იყვნენ წასულნი, ქალბატონ ელენეს დედალი დაქლა და უკვე ხარშავდა. ბაქარმა თონის გვერდზე მაგიდა დადგა. იქვე ახლად მოჭრილი ხის კუნძები მიაჩოჩა, რომელიც შესანიშნავდა გასწევდა სკამების მაგივრობას. მაგიდას თეთრი სუფრა გადააფარეს, ზედ ცელოფანის სუფრა დაადეს, რომ წითელ ღვინოს არ დაელაქავებინა. სუფრის გაშლა კაცებმა დაიწყეს, რადგან ქალბატონი ელენე და ბაქარის მეუღლე ცომის დაგუნდავებით იყვნენ დაკავებულნი. თან სტუმრებს ბოლიშს უხდიდნენ, “როგორ გამუშავებთო”. ბათუ და ბაქარი მათ საუბარს ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან თავად შესანიშნავ გურმანებს, სუფრის გაშლა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. საერთოდ, ასეთი სახელდახელო პურ-მარილის გაშლა მამაკაცებს უკეთესად გამოსდით ხოლმე.

ვარლამმა მარნიდან დოქებში ჩამოსხმული საფერავი გამოიტანა და მაგიდაზე დადგა. ბაქარმა თეფშებზე ლამაზად დაწყობილი კომბოსტოსა და პომიდვრის მწნილი მიუმატა სუფრას. ბათუმ მადისაღმძვრელად დაჭრილი გუდის ყველი დაამატა. იქვე, ახლადამოყავანილი ჭყინტი ყველიც “გააჩინეს”. სამწვადეც უცებ დაჭრა ბაქარმა, ბათუმ შამფურებზე აასხა, ვარლამმა კი ახლად განელებულ წამლის ნაკვერჩხალზე დააწყო. დედალიც ამოიღეს ქვაბიდან და ნიორწყალიც მოუმარჯვეს.

— დედალი სიძეს დააჭრევინეთ, წესი ეგეთია, — დაიძახა სიდედრმა სიდედრულად და პირველი ლავაში ჩაკრა თონეში.

— თავი დამანებეთ თუ ძმა ხარ, არ ვიცი ქათმის დაჭრა, ვედარ გაიგეთ!!! — ხელი აიქნია ბაქარმა და იქვე მაყალზე ხორცით დახუნძლული შამფურები გადაატრიალა.

ამასობაში ბათუმ ჭიქებში საფერავი ჩამოასხა. ისეთი მუქი წითელი იყო და თან ისეთი ქაფი მოიყენა ზედაპირზე, რომ მაძლარ კაცსაც კი სიამოვნების ურუანტელი დაუვლიდა ტანში. ბაქარმა შამფურებიდან ჯამში ჩაერილ მწვადს მრგვალად დაჭრილი ხახვი მოაყარა და მეორე ჯამი ზევიდან დაახურა. კარგა ხანს ატრიალა ჯამები, რათა ხახვის გემო ხორცში გამჯდარიყო. მეორე დადგა მაგიდაზე და სახურავი ახადა. მწვადით

სავსე ჯამის დადგმა და სუფრაზე თონიდან ამოღებული ლავაშის დადება ერთდროულად მოხდა.

— ვახ! შენ გენაცვალე! — შესძახა სიამოვნებისაგან აღტაცებულმა სავანელმა, — ექვსიანზე ტუზივით არ დაეცა ეს ბემურაზი. აჲა! ბათუს ვენაცვალე, ეგ არის და იელოვლების ვზლიოტნაია პალასა!

— რა? — თვალები გაუფართოვდა გაჩეჩილაძეს და შესაჭმელად გამზადებული მწვადის ნაკერი ხელში გაუშეშდა,

— რა ვზლიოტნაია პალასა, რის პალასა, რაო?

— რა ავერ გაიგე ტო?! — გაედიმა ბაქარს, — ამას წინათ იაღოვლები გორის ციხიდან არ გაფრინდნენ? ჰოდა “ეგ არის და გორის ციხე” თანამედროვე იელოვურს ენაზე ასე ითარგმნება.

ბათუს პურიც, ყველიც და მწვადიც ერთად გაუგარდა ხელიდან და კინაღამ პირში ჩადებული ლუქმაც ყელში გაეჩირა. მერე სიცილი აუტყდა და ძვლივს გააჩერეს.

— ეგ საიდანდა მოიფიქრე, ვინა ხარ შენ ტო? არ გაგიგონ, თორებ გაგლახავენ იელოვლები. — სიცილისგან თავს გეღარ იკავებდა ბათუ.

— წუმად იყავით! — დატუქსა სტუმრები ქალბატონმა ელენემ, — ჩვენს მეზობლად ჩასახლებული ორი ოჯახი იაღოვლები გახდნენ და არ ეწყინოთ შვილო.

— აგაშენა ლმერომა! — შესძახა ბაქარმა, — კარაზ! მაგათ კიდევ ვზლიოტნაია პალასას გომბორის ქედზე გავუკეთებთ და იქიდან პირდაპირ დავით გარეჯისაკენ გავაფრენო. მონასტერთან პასადეკას რომ გააკეთებნ, იქ ჩვენი ბერები ჰქუაზე მოივანენ და ისევ ქრისტიანობაზე მოექცევიან. გრე არ არის ძმებო?

გომბორიდან დავით გარეჯშიო, ახლა ამ სიტვების გაგონებაზე ჩაბჟირდა ბათუ და ძლივს მოასულიერეს. ცოტა სული რომ მოითქვა, ბაქარს სიცილისაგან თვალცრემლიანმა გადახედა და უთხრა:

— კარგი რა შე ჩემა, ლმერთი არა გწამს? ერთი ლუქმა მაინც შემაჭამე, დავიხრებ კაცი.

— კარგი, კარგი, ახლა სერიოზულად ვისაუბროთ, — დინჯად წარმოსთქვა ბაქარმა, საფერავით სავსე, ქაფმოდებული ჭიქა ასწია და განაგრძო, — ამ საღვევერძელოთი უფალი ვადიდოთ და ვთქვათ ისე როგორც დაწერილია: “დიდება მაღალთა შინა ლმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცოა შორის სათხოება.”

— ამინ! — ერთხმად წარმოთქვეს თანამეინახევებმა და ისე გამოცალეს ჭიქები, თითქოს რამდენიმე დღის მწყურვალები ყოფილიყვნენ.

— მართლა კარგი ღვინო გქონია ბატონო ვარლამ, — შეაქო ოჯახის უფროსი ბათუმ და პატივისცემის ნიშნად შუბლზე ძარცა.

— გვალვიანი ზაფხული იყო და ყურძენი ტკბილი გამოვიდა. მართალია ცოტაა, მაგრამ მართლა კარგი ღვინო დადგა, — სიამაყით თქვა ვარლამმა და თან დააყოლა, — ღმერომა შეგარეოთ.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა და ჭიქა ჭიქაზე იცლებოდა...

კახეთში თონესთან პურის ჭამა და ქეიფი დიდად არ ჩამოუვარდება ორ ძირითად კახურ დღესასწაულს — ლორის დაკვლასა და “ზაოტობას”. თანაც ერთზეც და მეორეზეც თუ შეგიძლია ნებისმიერი სასმელი დალიო, თონესთან მხოლოდ წითელი ღვინო ისმება კარგად, რადგან ცხელ პურზე, გუდის ყველზე და მწვადზე, საფერავი მალამოსავით ედება ორგანისმს და დედის რძესავით ერგება ადამიანს. ამ თემაზე საუბრობდნენ თონესთან შეკრებილი მოქეიფენი, როდესაც მათ სუფრასთან ვარლამის თრი მეზობელი შემოემატათ, ერთი—იმერელი, მეორე—კახელი. იმერელმა არაყი მოითხოვა, ცოტა აცივდა და გამახურებსო. კახელმა, რომელსაც უკვე მოესწრო საფერავით საგსე ჭიქის ხელში აღება, გაკვირვებულმა შეხედა იმერელ მეზობელს და უსაყველურა:

— რას ამობ ო? მამალი ვირი და მაკა! საფერავი სუფრაზე გედგეო და არაყსა სომდე! შენა სახლიდან რომ გამოხველ თავი კედელ ხო არ მიარტყი ო!

— ხო, ხო, ხო, დეიწყო ახლა ვირებზე და კედლებზე ლაპარაკი, — აწიწმატდა იმერელი, — რა გესმის შენ პურ—მარილის.

ბაქარმა იცოდა ამათი საუბარი თუ გაგრძელდებოდა, ერთმანეთს არ დაუთმობდნენ და სიტუაციის განმუხტების მიზნით, ვედრო გადმოაბრუნა და შემოჰქრა ხელები:

— აბა ბიჭებო, შალახო და ჩქარი ტაში! შენ დაუგა!

თითქოს ამას ელოდნენო, აწრიალდნენ საფერავისა და თონის ალმურისაგან შეწითლებული მოქეიფენი. ყველამ ერთად დაიწყო როკვა, იცოდა თუ არ იცოდა ცეკვა. კარგად შეზარხოშებულმა ბათუმ თავისი ჩვეული ილეთების ჩატარება დაიწყო. გასწორდა. თავზე შემოიდგა ღვინით საგსე ბოთლი, ნელი მოძრაობით და მიხვრა—მოხვრით დაიწყო ბადღადურის ცეკვა. ფხიზელი ბოთლს თავზე ვერ იჩერებდა, ხოლო მთვრალს ეს კარგად გამოსდიოდა.

სანამ მოქეთები ცეკვაში თავის ოსტატობას აჩვენებდნენ, გარლამბა თონეში მიმქრალი ნეკერჩხალი გადაქექა, შიგ მოზრდილი გოგრა ჩადო და ნაკვერჩხალი ისევ მიაყარა, თან დააყოლა:

– თონეში შემწვარი გოგრა, უზმოზე, მალამოსავით ედება ნაბახუსევ თრგანისმე.

ბათუმ ცეკვა დაამთავრა, ბოთლი ჩამოიღო თავიდან, ღვინო ჭიქაში ჩამოასხა და ხმამაღლა წარმოთქვა:

– ამ ჭიქით ბიჭებო ბაქარს გაუმარჯოს! ამდენ ქარ-ცეცხლში გამოიარა და ისევ ვაჟაცურად უმკლავდება წუთისოფელს.

ბაქარმა ბათუს თვალებში შეხედა, თითქოს ეუბნებოდა არაფერი წამოგცდესო. მართლაც ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ბათუ მიუხსლოვდა ბაქარს, ჩვეულებისამებრ შუბლზე აკოცა და ყურში ჩასხურჩულა:

– ხომ იცი მმაო, რომ მე არაფერი წამომცდება. მთავარია შენ არ ინერვიულო. აბა, მოდი ვახტანგური დავლიოთ მე და შენ.

დალიეს ვახტანგური, წესისამებრ სამჯერ აკოცეს ერთმანეთს. ბაქარს უცებ თავბრუ დაეხვა. ბათუ მიხვდა, რომ ნერვი-ულობისაგან მიღებულმა ტრამვებმა თავისი გაიტანა. ბაქარი საწოლამდე მიიყვანა. სანამ კარგად არ ჩაეძინა, არ მოსცილებია. მერე ისევ ეზოში გავიდა. შუალამებდე თონის გვერდზე ტაშფანდური არ გაჩერებულა.

დილიოთ ბაქარი თავის ტკივილმა გააღვიძა. გუშინდელი სტრესისაგან ჯერ გამოსული არ იყო. ადგა. ეზოში გავიდა და თითქმის ერთი საათი იარა, იქნებ სუფთა პაერზე გასეირნებამ მიშველოსო, მაგრამ უშედეგოდ. მიხვდა, რომ მოულოდნელი სროლისაგან მიღებული ტკივილი მოურჩენელ იარად დარჩენოდა ხორცშიც და რაც მთავარია სულში.

საქართველოში დაიწყო უზნეოთა და უმეცართა როკები საშინელი. მეოცე საუკუნის მიწურულს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ქართული ჯიშ-ჯილაგის ამონაშთვა იწყებოდა.

სართიჭალა
2009 წელი.

სარჩევი:

1. მისი უდიდებულესობა ქართული ღვინო3
2. “ფარა რომ შემოპრუნდება ...”18